№ 252

შაბათი, 18 ნოემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 252

შაბათი, 18 ნოემბერი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

მკურნალი მიხეილ და ნიკოლოოზ გიორგის ძენი ალაჯანოვენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თვისის ძვირფასისა და დაუვიწყარის დედის

## ეფემია იაგორის ასულის ალაჯანოვის

გარდაცვალებასა და სთხოვენ კვირას, 19 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, მიცვალებულის გასვენებაზედ დასასწრებლად მობრძანდნენ (მიხეილის პროსპექტი, სახლი № 60); სახლიდგან მიცვალებულს ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის ეკკლესიაში მიასვენებენ ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, ხოლო აქედგან დასაკრძალავად ვერის სასაფლაოზედ წაასვენებენ. პანაშვიდი დღეს, 18 ნოემბერს, საღამოს $6^1/_2$ საათზედ იქმნება გარდახდილი.

(1—234—1)

## ქართული თეატრი

**კვირას, 19 ნოემბერს,**

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან, ქ. **ეფემია მესხის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

I

### კონსტანტინე ბატონიშვილი

დრამა 5 მოქ. ალ. ყაზბეგისა

II

### ძალად ექიმი

კომ. 1 მოქ. გად. მართა ულენტის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფემია მესხი, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძე, მდივანი, გარელი და სხ.; ბ-ნნი სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

**მზადდება ელ. ჩერქეზიშვილის ბენეფისოდ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით „კაეშანი“.—„დინიზა“. „მადამ სანჟენი“.**

**დაიბეჭდა და იყიდება დ. კლდიაშვილის მოთხრობა**

### ქამუშაძის გაჭირვება

**ტფილისში:** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. **ქუთაისში:** ვ. ბექანეიშვილისა და ვარ. ჭილაძისა და **ბათუმში**—სპ. ჭელიძის მაღაზიებში.

(3—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ქ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არშანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.**

**Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.**

## ახალი ამბავი

*** ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიის მმართველმა ამ დღეებში შეატყობინა ტფილისის ქალაქის მოურავს, რომ სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციას ნება დაერთო მოამზადოს და გადასცეს ტფილისის ქალაქის გამგეობას სულ 800,000 მან. ობლიგაციები მესამე სესხისა, რომლის გამოცემის ნებაც დაერთო ქალაქ ტფილისს.

*** ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას ზოგიერთი საგნების განსახილველად. კომისიამ პირველად განიხილა ქალაქის სახელოსნო სკოლის დირექტორის ბ-ნ ოჰანეზოვის მიერ შევსებულ-შესწორებული პროექტი ამ სასწავლებლის შენობის გაფართოებისა. კომისიამ დაამტკიცა ეს პროექტი და დაადგინა წარედგინოს ქალაქის საბჭოს დასამტკიცებლად. შემდეგ კომისიამ განიხილა იმათი თხოვნები, ვინც გალობის მეორე მასწავლებლობასა თხოულობს ქალაქის სასწავლებლებში. სულ 12 მთხოვნელი ყოფილა. კომისიამ დაადგინა გამოსცადოს გალობაში ეს კანდიდატები. კომისიამ დაამტკიცა ამ სხდომაზედვე მომავალ 1901 წლის ქალაქის სასწავლებელთა ხარჯთ-აღრიცხვა. დასასრულ კომისია შეუდგა სასწავლებელთა მკურნალისათვის შემუშავებულ ინსტრუქციის განხილვას. მოასწრეს სულ 15 განხილვა.

*** როგორც „ტფ. ფურ.“-ს შეუტყვია, ინდო-ევროპიულ ტელეგრაფის საზოგადოებას აზრადა აქვს

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

სასტუმროები ღარიბთათვის.—გადასახადი უცოლო კაცებსა და გასათხოვარ ქალებზედ.—ქალები გერმანიისა და ავსტრიის უნივერსიტეტებში. მინისტრი ქალი.—ბავშვების აღზრდა ამერიკაში.

კარგა ხანია ევროპის დიდ ქალაქებში სადგომების სიძვირემ ღარიბ ხალხის გულშემატკივართა ყურადღება მიიქცია. ისეთ უზარმაზარ, მილიონობით დასახლებულ ქალაქებში, როგორიც ლონდონი, ბერლინი, პარიჟი, ვენა, პეტერბურგი და სხვებია, მუშა კაცის, ღარიბ და ხელ-მოკლე მცხოვრების შემოსავალი თითქმის მთლად სადგომის ქირას უნდება, ისიც ისეთ სადგომისა, რომელიც ან ქალაქის განაპირა მიყრუებულ და მოუწყობელ ადგილშია, ან კიდევ ნოტიო და ბნელ ძირის სართულში. ეს ათი-თხუთმეტი წელიწადია, რაც დიდ ქალაქებში შეუდგნენ მუშათა და ხელ-მოკლე მცხოვრებთათვის განსაკუთრებულ სახლების აგებას. ასეთი სახლი წვრილ სადგომებათაა დაყოფილი (თითო სადგომი სამს ან ოთხს ოთახს შეიცავს). სადგომები ქირით ეძლევათ მუშებს იმ დრომდე, ვიდრე წვრილ-წვრილად გაისტუმრებენ ფულს, ამ სახლების აგებაზედ დახარჯულს; შემდეგ-კი სადგომები მუშებსა რჩებათ.

ასეთ სახლებს გარდა ლონდონში არსებობს ეგრედ წოდებული ღარიბთა სასტუმროებიც, სადაც მუშასა და საზოგადოდ ხელ-მოკლე კაცს შეუძლიან დაიქიროს მეტად იაფად ოთახი—ერთის თვით, ერთის კვირით, ან რამდენისამე დღით. პირველი ასეთი სასტუმრო, უზარმაზარი ექვს სართულიანი შენობა, ააგო 1893 წელს ლორდმა როვტონმა. მდიდარი როვტონი ამ საქმეს საქველ-მოქმედო აზრით შეუდგა, უნდოდა ხელ-მოკლეთათვის შემწეობა აღმოეჩინა, მაგრამ სასტუმროს იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ პატრონს სარგებელიც-კი მოუტანა. ამ გარემოებამ როვტონი უფრო გაამხნევა. მალე იმისა და რიჩარდ ვარრანტის მეცადინეობით შესდგა სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც ძირის თანხად 2,000,000 მანეთი აქვს. საზოგადოებამ უკვე ააშენა ოთხი უზარმაზარი სასტუმრო და მალე მეხუთესაც ააშენებს—მარტოხელ ქალებისათვის.

სასტუმროები სამაგალითოდაა მოწყობილი. ოთახები ყველგან დიდი და ნათელია, ლოგინი მეტად კარგი და სუფთა, იატაკი წამლით გაკრიალებული, კედლებს მშვენიერი სურათები ამშვენებს. სასტუმროში რამდენიმე სასადილო ოთახი და ბუფეტია. სადილი 10—15—20 კაპ. ღირს. ჭამა-სმა, ოთახის ქირა, სარეცხის დარეცხვა კვირაში იქ ხუთ მანეთზედ ძვირად იშვიათად დაუჯდება კაცს; თუ საჭმელს თითონ მოამზადებს, ღარიბი კაცი უფრო იაფადაც გამოვა. ამისთვის სასტუმროში რამდენიმე სამზარეულოა, ყველას თავისუფლად შეუძლიან შესვლა და საჭმლის მომზადება; უსასყიდლოდ უთმობენ ქვაბებს, თეფშებს და საზოგადოდ ყოველ გვარ საჭირო ჭურჭელს. სტუმარი ვალდებული არც-კია სადილის ან ვახშმის შემდეგ ჭურჭელი დარეცხოს. უსასყიდლოდვე აძლევენ ცხელ წყალს ყავისა ან ჩაისათვის.

ნაშუაღამევის $12^1/_4$ საათზედ სასტუმრო იკეტება. ყველა თავ-თავის ოთახში მიდის და ძილს ეძლევა. ძირითა სართულში საბანაოებია გამართული. ერთ შაურად სტუმარს შეუძლიან ცივ ან ცხელ წყალში იბანაოს, ამასთან საპონსა და პირსახოცსაც აძლევენ. საზოგადოდ სასტუმრო ისეა მოწყობილი, რომ მხედველობაში ყველაფერია მიღებული. იმათთვის, მაგალითად, ვისაც ერთი ხელი საცვლის მეტი არ მოეპოვება, განსაკუთრებული ოთახია: ამ ოთახში შეუძლიან მოიცადოს, ვიდრე თავისს ერთ ხელს საცვალს გაურეცხავენ და ჩააბარებენ. ყველა ამას გარდა სასტუმროს მშვენიერი დარბაზები აქვს სასაუბროდ, დომინოსა და ჭადრაკის სათამაშოდ; აგრეთვე მდიდარი სამკითხველო და წიგნთ-საცავი.

ამ სასტუმროებში ხშირად ჰპოულობს თავ-შესაფარს ღარიბი და ხელ-მოკლე მუშა ან ხელოსანი. ამათ გარდა შეხვდებით იქ ქაღალდის თამაშობისაგან გაკოტრებულ არისტოკრატსაც, ლოთობით გაუბედურებულ აფიცერს, მოსამართლეს ან ვექილს. ეს გაკოტრებული არისტოკრატები და ვექილები უმეტეს ნაწილად ამავე სასტუმროში უწერენ მსურველთ 5-10 კაპეიკად წერილებს და სხვა ქაღალდებს და ამითა სცხოვრობენ. ერთ სასტუმროში ამ ჟამად 70 წლის მკურნალიც-კი დაიარება. წინად ამ მკურნალს დიდი პრაქტიკა ჰქონდა, მაგრამ უბედურ შემთხვევისა გამო ხალხი შემოეცალა და ეხლა ღარიბ უბნებში დარბის და 10-15 კაპეიკად ავადმყოფებს არჩენს. ამავე სასტუმროში სცხოვრობს ოდესღაც ცნობილი სწავლული და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. დღეს ეს პროფესორი მოსწავლეებს ჰორაციოს უთარგმნის, ამოცანებს უხსნის და ამ გვარ საქმეებში 20-25 კაპეიკს იღებს.

* * *

საფრანგეთში ასეთ მარტო-ხელა ღარიბებს კარგი დღე არ დაადგებათ, თუ განახორციელეს ახალი პროექტი და უცოლოებს მართლა გადასახადი გააწერეს. მოგეხსენებათ, ფრანგები დიდი ხანია სწუხან და გოდებენ საფრანგეთში მცხოვრებთა რიცხვის შემცირებისა გამო. მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოებში ხალხი წლითი წლობით მრავლდება, საფრან-

დაარსოს ტფილისში განსაკუთრებული სკოლა ამ საზოგადოების ტელეგრაფისთვის მოხელეთა მოსამზადებლად.

⁂ გუმბრიდგან სწერენ „ცნობის ფურ.“-ს: „ქართველ მუშების და მოხელეების რიცხვი აქეთკენ ერთობ მრავლდება. ყოველ სადგურზე შეხვდებით მათ. გუმბრში მცხოვრებ ქართველთ ლაპარაკი დაუწყიათ გუმბრში ქართულ სამკითხველოს გამართვის შესახებ; ამ საქმის თაოსნობა და მოწყობა რკინის გზის მოსამსახურე ბ ნ შველიძესთვის მიუნდვიათ“.

⁂ რადგანაც ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ ქალაქის გამგეობა უკვე პირობით შეეკრა „გელიოსის“ საზოგადოებას, ამისათვის გამგეობა „სიმენს და გალსკეს“ ფირმის მიერ შემოტანილს გირაოს 13,000 მანეთს უკანვე უბრუნებს.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სოფლის მასწავლებელთაგან ყოველ დღე მოსდის თხოვნა, შეგვატყობინეთ, დამტკიცებულია თუ არა აბრეშუმის თესლის სავალდებულო კონტროლის პროექტიო. რადგანაც სამეურნეო საზოგ. საბჭო ამ ჟამად მომავალ სამეურნეო გამოფენის საქმეში გართულია და დრო არა აქვს ყველას პასუხი მისცეს, ამისათვის საბჭო გაზ. „კავკაზის“ სიტყვით უცხადებს ყველას, რომ მეაბრეშუმეთა შარშანდელ კრების დადგენილება თესლის სავალდებულო კონტროლისა და საბრეშუმო სადგურზედ გამოსაცდელად წარდგენის შესახებ მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ ჯერ დამტკიცებული არ არის.

⁂ რადგანაც ზოგიერთ სანოვაგეზედ ნიხრი არ არსებობს და ვაჭრები ერთი ორად ძვირად ჰყიდიან კვერცხს, თევზსა, ხორცსა და სხვ., ხოლო პოლიციას-კი ნაკლებ ფასს უჩვენებენ, ამისათვის პოლიცმეისტერის თანამ. აღმასრულებელმა 16 ნოემბერს განკარგულება მოახდინა, რომ ვაჭრებმა უეჭველად ყოველს უნიხრო სანოვაგეს მორიგი პოლიციელის მიერ ხელმოწერილი ქაღალდი მიაკრან ხოლმე, სადაც სანოვაგის ფასი იქნება აღნიშნული. ბოქაულებს სასტიკად დაევალათ ეს განკარგულება მტკიცედ აღასრულონ

⁂ როგორც სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ცნობებიდგანა სჩანს, კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენას სულ 5,000 ოთხ კუთხი საჟენი ადგილი თურმე მოუნდება მარტო ფარდულებისა, ვიტრინებისა და სხვათა გასამართავად. სახელდობრ: მიწად-მოქმედების განყოფილებას მოუნდება 200 ოთხ-კუთხ საჟ., მებაღეობისა და მებოსტნეობისას—500, მეღვინეობისას—300; მეტყეობისას—300; შინაურ პირუტყვის განყოფილებას—700, მერძეობისა და პირუტყვთა მომშენებელ განყოფილებას—250; მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისას - 80; მეთევზეობისა და ნადირობის განყოფილებას - 75. სამეურნეო იარაღებისა და მანქანებისას—500; შინახელობისა და სახელოსნო მრეწველობისას—100; საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობისას—1000; სამთო განყოფილებას—200,—ამათგან ნობელის ფირმისათვის—50 ოთხ-კუთხი საჟენი; საპედაგოგო-საპროფესიონალო განყოფილებას—100; სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილებას 40; სამეცნიერო სამოსწავლო განყოფილებას—20; სამხატვრო განყოფილებას—50; პირუტყვთა მფარველ საზოგადოების ფარდულს—25; დრო გამოშვებით გამოცემათა ფარდულს—50, და 600-მდე ოთხ-კუთხი საჟ. მიწა მოუნდება რესტორანებისა, მუსიკისა და სხვა გასართობთა ფარდულებს.

⁂ როგორც გაზ. „ახ. მიმოხილვას“ შეუტყვია, ლაპარაკი თურმეა აღძრული დედათა საკვირაო სკოლისთვის საკუთარი შენობა შეიძინონ, რადგანაც ამ ჟამად სკოლა, ხელთ-საქმის კასსები და საპედაგოგიო მუზეუმი ყველა ერთ შენობაშია მოთავსებული და დიდად შევიწროებულნი არიან. საჭირო მიწის შეძენასა და სახლის აშენებას მოუნდება სულ 35 ათასი მანეთი. განზრახვა აქვთ ეს ფულები სახელმწიფო ბანკიდგან ისესხონ და ყოველ წლიურ ქირის ფასით გაისტუმრონ, რომელსაც ამ ჟამად 1,500 მანეთი სჭირდება წლიურად.

⁂ როგორც ამავე გაზეთს სწერენ ქუთაისიდგან, მთელს ქუთაისის გუბერნიაში სოხუმისა, ბათუმისა და ართვინის ოლქებში მომავალ სამის წლისათვის (1901—1903 წ.) გამოანგარიშებულია: სახელმწიფო საბეგრო გარდასახადი—145,000 მან. და სახელმწიფო და საადგილ-მამულო გარდასახადი (დესეტინა მიწასა და ტყეზედ—5 კაპ.)—55,243 მან. ეს თანხა, ახალის კანონის თანახმად, მიწის შემოსავლის დაგვარად, უნდა იქმნეს განაწილებული თვითოეულს მაზრასა და ოლქში ცალკ-ცალკე.

⁂ 16 ნოემბერს ქალაქის გამგეობაში საჯარო ვაჭრობა მოხდა მუხრანსკის დაღმართზედ მყოფ ბორნის სამი წლით იჯარით გასაცემად. 16 ნოემბრის საჯარო ვაჭრობის დროს ყველაზედ მეტი ფული, 8,850 მან., ტფილისის მცხოვრებს ისაკიძეს შეუძლევია. გამგეობა ამ დღეებში გამოარკვევს, თუ ისაკიძის მიერ გამოღებული საჭირო ქირა რამდენად ხელ-საყრელია.

⁂ სადგურ ალიათიდგან „კავკ.“-ს სწერენ, რომ დილით 15 ნოემბერს, ვაგონების ზედამხედველმა ხაჭითარიამ დანით დასჭრა სადგურის უფროსი დანილოვი და მისი თანაშემწე რუსანოვი. ხაჭითარია შეიპყრეს.

⁂ ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, პოლიციის მე 9 ნაწილში, მიხეილის ქუჩაზედ, სახლი № 87-ში, დილის 10½ საათზედ, უნახავთ დაჭრილი მარჯვენა საფეთქელში ბორჩალოს მაზრის ბოქაული თავ. წულუკიძე. დაჭრილს ახლოვე გდებულა რევოლვერი. თავ. წულუკიძე მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ. ექიმების აზრით მისი მორჩენა საეჭვოა.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ქალაქის სასწავლებელთა გამგეობისამ დააწესა ქალაქის სასწავლებელთათვის ერთის სათადრიგო მასწავლებლის თანამდებობა. რადგანაც ამ ჟამად ასეთი მასწავლებელი საჭიროა დიდუბის ქალაქის სასწავლებელში ამ სასწავლებლის მასწავლებლის ნასიძის ავადმყოფობისა გამო, კომისიამ მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას სთხოვონ სახალხო სკოლების დირექტორს დაამტკიცოს სათადრიგო მასწავლებლის თანამდებობაზედ ქ-ნი წინამძღვარიშვილისა, როგორც უფროსი კანდიდატი ქალაქის სკოლების მასწავლებელთა ადგილზედაო.

⁂ ოთხშაბათს, 15 ნოემბერს, პოლიციის მე 9 ნაწილში ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგის ბ-ნ ივანოვის სადგომიდგან ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს ჩემოდანი სხვა-და-სხვა ნივთებით სავსე, სულ 40 მანეთისა.

⁂ ამ დღეებში ქალაქის გამგეობა კენჭს უყრის ტფილისის დედათა პირველ და მეორე გიმნაზიის იმ მოსწავლეთ, რომელნიც აბესსალომოვის სტიპენდიებს თხოულობენ. მთხოვნელი ოცია.

⁂ ამას წინად მოხსენებული გვქონდა რომ ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ბორჩალოს მაზრის სოფელ გომარეთის მცხოვრებს ზაქარია ბერუნაშვილს მოჰპარა ქისა 90 მან. როგორც აღმოჩნდა, ქურდი ქ. სიღნაღის მცხოვრები ტიტიკო ქურდაშვილი ყოფილა, დამნაშავე უკვე დააპატიმრეს.

⁂ ოთხშაბათს, 15 ნოემბერს, პოლიციის მე-6 ნაწილში შეიპყრეს კავკასიის მსროლელთა რაზმის მე 8 ბატალიონის ჯარის-კაცი გიორგი ბეგიაშვილი, რომელიც 4 თვეა გამოქცეული ყოფილა და ემალებოდა მთავრობას.

## ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობა ტფილისში

ორი წელიწადია, რაც ბ-ნმა ი. ალხაზიშვილმა ფარმაცევტთა ამხანაგობის შედგენა განიზრახა, რომლის აზრიც მედიკამენტებითა და სხვა სამკურნალო საგნებით ვაჭრობაა. ეს აზრი ყველასათვის სასიამოვნო შეიქმნა, მაგრამ ზოგიერთმა ეჭვის თვალით შეჰხედა, მოთავენი კი, მეტადრე ბ-ნი ი. ალხაზიშვილი, საქმეს ერთგულად შეუდგნენ და, როდესაც ვფიქრობდით, უთუოდ ამ საქმესაც ჩვეულებრივად ჩაილურის წყალი დალიაო, წელს ზაფხულში უცბად თავი იჩინა. მინდოდა შემეტყო, ახალს ამხანაგობას საქმე როგორ მისდის, ან როგორ მოწყობილია და ამისათვის ამ დღეებში მისს მაღაზიას ვეწვიე. ამ ნახვამა და საქმის გარემოების შეტყობამ სწორედ მასიამოვნა. მაღაზია ყოველ მხრივ ადამიანის ყურადღებას იქცევს: სიდიდით, ურიცხვი საქონლით, სისუფთავით, წეს-რიგით; წამლები საუკეთესო ევროპის ფირმებისაგან არის გამოწერილი. მართალია, მაღაზია ჯერ ახალი გახსნილია, მაგრამ დღესაც დიდძალი მუშტარი ჰყავს; განსაკუთრებით კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხიდგან იწერენ ნარდად, რადგანაც წამლები საუკეთესო თვისებისაა და ამასთანავე მყიდველებს ამხანაგობა იაფად უთმობს და დანიშნულ სადგურამდისაც წამლებს თავისის ხარჯით უგზავნის. ეს-კი დიდი შეღავათია მყიდველისათვის. ამ საქმეს ფარმაცევტები განაგებენ, რომელთა შორისაც ორი პროვიზორია, გამგედ ბ-ნი ი. ალხაზიშვილია. ამხანაგობის საქმეთა გამოკითხვამა და დაკვირვებამ დაგვარწმუნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის დაწყებასთან ერთად საქმის ცოდნასაც. ჩვენში არავითარი სავაჭრო საქმის დაწყება არა ჰხარობს იმისთვის, რომ საქმეში კარგად ჩახედებულნი არა ვართ, ვაჭრობა არ ვიცით. ვაჭრობასაც ცოდნა და სწავლა უნდა; როგორც ბევრი სხვა ცოდნა, ისიც საუკუნოებით შეიძინება. მხოლოდ ამ მხრივ ჩვენს ნორჩს ამხანაგობას საყვედური სრულებითაც არ ეთქმის, რადგან იკისრა საქმე, რომლის ცოდნაც საკმარისადა აქვს კიდევაც ეს არის მიზეზი, რომ საქმე თავიდგანვე კარგად მიდის: ამხანაგობას წევრები საკმარისი ჰყავს, მათში ბევრი არა-ქართველიც არის; წევრად შესვლა ძლიერ გაადვილებულია, — ღარიბს წევრს შეუძლიან თითო თუმანიც შეიტანოს, ვიდრე 50 მანეთი გახდებოდეს; წევრად შესვლა შეუძლიან არა ფარმაცევტსაც და არა მკუ-

---

გეთში მცხოვრებთა რიცხვი ერთ დონეზედა სდგას და თითქმის ჰკლებულობს კიდეც. ასეთ სამწუხარო მოვლენის ასახსნელად მრავალ მიზეზს ასახელებენ, სხვათა შორის, ქორწინებათა რიცხვის შემცირებასაც. როგორც კაცები, აგრეთვე ქალები რაც დრო და ხანი გადის უფრო და უფრო გაურბიან ქორწინებასაო, თითქმის ყოველ წელიწადს აცხადებს ოფიციალური სტატისტიკა. აი სწორედ ამიტომ განიზრახეს განსაკუთრებული გარდასახადი გააწერონ უცოლო კაცებს, გასათხოვარ ქალებს, ქვრივებს და აგრეთვე იმ ცოლ-ქმართ, რომელთაც შვილი არ ეყოლებათ. იმედი აქვთ, ამ გადასახადის შემდეგ ბევრი მოეკიდება ოჯახს.

სენატორმა პიომ უკვე შეიმუშავა ამ გარდასახადის პროექტი და ამას წინად პარლამენტსაც წარუდგინა. პროექტით გარდასახადი უნდა გაეწეროს 1901 წლის პირველ იანვრიდგან იმ უცოლო კაცებსა და გაუთხოვარ ქალებს, რომელნიც 30 წელიწადს გადასცდებიან. გარდასახადის რაოდენობა უნდა უდრიდეს სხვა პირდაპირ გარდასახადთა 1/15-ს. ცოტა უფრო ნაკლები, სახელდობრ 1/20, გაეწერება იმ ცოლ-ქმართ, რომელთაც ქორწინებიდგან დაწყებული ხუთის წლის განმავლობაში შვილი არ ეყოლებათ. იმათ დასაჯილდოებლად-კი, ვისაც ოთხი, ხუთი და მეტი შვილი ეყოლება, მთავრობამ ყოველ წელიწადს 20 მილიონი ფრანკი უნდა გადასდოს.

პროექტის ბოლოში საყურადღებო ცნობებია მოთავსებული უცოლოთა, გაუთხოვართა, უშვილოთა და ქვრივთა შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, საფრანგეთში სულ 2,707,315 უცოლო კაცი და გასათხოვარი ქალი ყოფილა 30 წელიწადს გადაცილებული, შემდეგ—1,808,838 უშვილო ოჯახი და 300,000 უშვილო ქვრივი, სულ-კი 4,800,000 კაცი და ქალი, „რომელთაც უნდა შვილები ჰყავდეთ და კი არა ჰყავთო“, ამბობს პროექტის ავტორი. ერთი რამაა მხოლოდ ამ პროექტში დასაწუნი, სახელდობრ ისა, რომ გადასახადი ყველა გასათხოვარ ქალს უნდა გაეწეროს: ვინ იცის რამდენი ქალია გულითა და სულით გათხოვებას მოწადინებული, მაგრამ „სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო“ ვერ გათხოვილა. აქამდე ასეთ ქალს ერთი დარდი აწუხებდა—გაუთხოვრობა, ამის შემდეგ-კი ამ ერთს მიემატება მეორეც—გარდასახადისთვის ზრუნვა.

* * *

ესეც-კია ამ გვარ ქალთა რიცხვი დიდი არ იქმნება, რადგანაც დღეს ევროპაში უმრავლესობა სწავლა-განათლების მიღებასა დ დამოუკიდებელ ცხოვრებას უფრო ეტანება, ვიდრე გათხოვებას. დაუცხრომელის მეცადინეობის წყალობით ქალებს დღეს თითქმის ყველა უნივერსიტეტის კარები ეხსნებათ. აი, ამას წინად, მაგალითად, პრაგის უნივერსიტეტის საბჭომ გადასწყვიტა მიიღოს მიმდინარე სამოსწავლო წელს იურიდიულ ფაკულტეტზედ ქალები და ისეთივე უფლებანი მიანიჭოს მათ, როგორიც სტუდენტ კაცებს აქვთ. ამ გვარსავე გადაწყვეტილებას დაადგა ვენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის საბჭო. პროფესორები ბერნაციკი და ბურკჰარტი იმასაც-კი თხოულობენ, რომ ქალებს ყოველგვარ სახელმწიფო თანამდებობის მიღების უფლება მიენიჭოთ. მაგრამ მთავრობა და სხვა პროფესორები წინააღუდგნენ ამ წინადადებას. ეთთმა ისიც-კი განაცხადა, ქალი როგორ შეიძლება მოხელედ დაინიშნოს, როდესაც საჭიროა მოხელეს ფორმა ეცვას და შპაგა ჰქონდეს გაკეთებულიო: ავსტრიელებს მოხელე უფორმოთა და უშპაგოთ ვერ წარმოუდგენიათ.

გერმანიის უნივერსიტეტებშიაც გაიკვლიეს გზა ქალებმა. მარტო ბერლინის უნივერსიტეტში ამ ჟამად 371 ქალი სწავლობს, ამათგან უმრავლესობა ფილოსოფიას (საფილოსოფიო ფაკულტეტზედ ასწავლიან ფილოსოფიის გარდა საბუნებისმეტყველო საგნებსა და საპოლიტიკო ეკონომიას). საერთო რიცხვიდგან ბერლინის უნივერსიტეტში 348 გასათხოვარი ქალია, 19—გათხოვილი და 4 ქვრივი. ერთი სტუდენტი ქალი 61 წლისაც-კი არის. ევროპაში გერმანია და ავსტრია ყველაზედ მეტ წინააღმდეგობას უწევდნენ ქალთა უმაღლეს განათლებას, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, ბოლოს იქაც ველარაფერი გააწყეს.

ამ შემთხვევაში ამერიკის მაგალითმა მეტად დიდი გავლენა იქონია ევროპაზედ, განსაკუთრებ თ მას შემდეგ, რაც ამერიკის მთავრობის უმაღლესნი მოხელენი საჯაროდ მოწმობენ ქალთა ნაყოფიერ მოქმედებას. სხვათა შორის, იდაგოს შტატის გუბერნატორი ფრანკ შტეუნენბერგი სწერს, რომ ქალებმა-დეპუტატებმა გააორკეცეს ადგილობრივ პარლამენტის მხნეობა და გაანაყოფიერეს იმის მოქმედებაო. სულ ოთხი წელიწადი-კია, რაც იდაგოს შტატში ქალებს ამომრჩევლობის უფლება მიანიჭეს. პირველსავე არჩევანებზედ 1898 წელს ერთი ქალი, ქ-ნი ფრენჩი, საერო განათლების მინისტრად იქმნა არჩეული, ხოლო სამი ქალი—საკანონმდებლო საკრებულოს წევრებად. აი ამ ქალების, განსაკუთრებით ქ-ნ ფრენჩის, ორი წლის მოღვაწეობამ დაარწმუნა როგორც ამომრჩეველნი, აგრეთვე ადგილობრივი გუბერნატორი, რომ ნიჭიერ და მხნე ქალს მამაკაცზედ ნაკლებ არ შუძლიან საქმის გაკეთება.

* * *

ეჭვი არ არის, ბევრვან სხვაგან ქალები ასეთ უნარსა და საქმის ცოდნას ვერ გამოიჩენენ: ამერიკაში როგორც ვაჟებს, აგრეთვე ქალებს ბავშვობითვე ამზადებენ თვით-მოქმედებისათვის, სკოლაშიკე აყვარებენ საზოგადო საქმეს და აჩვევენ მოქალაქობრივ ცხოვრებას. იქაური სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნალსაც. წევრთა შორის ბევრს ჰნახავთ ისეთს, რომელთაც 1,000 და 2,000 მან. შეუტანია. ამ საქმის რიგიანად წაყვანა მით უფრო მოსალოდნელია, რომ მეთაურად ფარმაციაში ცნობილი კაცები არიან, რომლებმაც წამლის ავი და კარგი კარგად იციან. ამისათვის სასურველია ჩვენმა ფარმაცევტებმა და მკურნალებმა რაც შეიძლება მეტი მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში როგორც ფულით, ისრე სხვა გვარადაც, რადგანაც სარგებლობა საქმისა ცხადადა სჩანს. ტფილისის სამკურნალო განყოფილების ყურადღება ამხანაგობამ უკვე მიიქცია და დაიწყეს კიდევაც ქსენონებისათვის ამ ამხანაგობის მაღაზიიდგან წამლეის გამოწერვა. იმედია, ტფილისის გუბერნიას ქუთაისის გუბერნიაც არ ჩამოჰრჩება და ქუთაისის გუბერნიის ყველა მეაფთიაქენი მონაწილეობას მიიღებენ, წევრებათ ჩაეწერებიან და წამლებსაც აქედგან გამოიწერენ. ამხანაგობის საქმის კარგად წასვლა მით უფრო სანატრელია ჩვენთვის, რომ დღეს ჩვენი მხსნელი ეს ერთად-ერთი საშუალება, შეერთებაა. არასოდეს არა ყოფილა ადამიანი ისე უძლური, როგორც დღეს, როდესაც კაპიტალია ყველგან საჭირო. და იგი-კი საიდგან გაჩნდება, თუ ბევრნი ერთად არ შეერთდებიან? დროა, ეს მოსაზრება რწმენათ არ დარჩეს და მალე საქმეთაც იქცეს. უნდა გავიმსჭვალოთ იმ მოსაზრებით, რომ მხოლოდ ამხანაგობას, რომელიც ერთობასა და ნდობაზეა დამყარებული, შეუძლიან საქმე შეჰქმნას დღეს. უნდა ვისარგებლოთ უცხოელების მაგალითით, რომელნიც მხოლოდ შეერთებულის ძალით კოოპერაციის წყალობით აკეთებენ ყოველს საქმეს, რა თვისებისაც უნდა იყოს იგი. ამგვარი მოქმედება ჩვენთვის ჭკუის მასწავლებელ, აღმზრდელ სკოლად შეიქმნება. საჭიროა მხოლოდ, რომ საზოგადო საქმის მეთაურად პატიოსანი და მცოდნე კაცები იყვნენ. ჩვენი ახალი ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობა-კი ამ მხრივ საიმედოა.

ექიმი ვაშაკიძე

## წერილი პატარძეულიდგან

წრევანდელი წელიწადი ყველასთვის საზარალო იყო. ჯერ იყო და გამუდმებულმა გაზაფხულის წვიმებმა მინდორში თავისს დროზედ არ გაგვიშვა ბალახის გასათიბად: ვისხედით შინ გულხელდაკრებილნი და შევყურებდით მოუთმენლის გულით, როდის იქნება, რომ ცა დამშვიდდეს და მინდვრად სამუშაოდ გავიდეთო, მაგრამ არა გვეშველა-რა. როგორც იყო, გავედით მინდორში ბალახის სათიბად, თითქმის თიბათვის გასულს, მაგრამ რა? გათიბულს აუბუღებელს ბალახს წვიმა ასწრობდა და სულ გვიფუჭებდა. ბევრს დაჰრჩა მინდორში თივა, ბევრმა მოიტანა, მაგრამ რისთვის? სულ გაშავდა, საქონელიც ვერა სჭამს, არამც თუ ფასში გავყიდოთ.

თიბვას ზედ მოჰყვა მკა. სიხარულით დავიწყეთ მკა, გვეგონა, ყანა რომ ბევრი მოვმკეთ, გამოსავალიც კარგი იქნებაო, მაგრამ ძალიან მოვსტყუვდით! თვალად ყანა ბევრი ჩანდა, გამოსავალი-კი ცოტა იყო. ესეც გამუდმებული წვიმების ბრალია. ყანა აღელდა, თავთავი გაიკეთა, მაგრამ მარცვალი-კი არა. შარშანდელი მოსავალი ბევრით სჯობდა წრევანდელს. ამ მცირე მოსავალმა პურისამ ფასი ძალიან ასწია; შარშან ენკენისთვეში კოდი პური აქ 2 მან. ფასობდა, ახლა-კი 3 მან. ფასობს.

ხშირმა წვიმებმა არც ვენახებს დააყარა ხეირი: თავისს დროზედ ვენახებს ვერ უწამლეს, ვინც უწამლა, არც ის გამოდგა კარგი: წვიმა შეწამლულს ვაზებს ჰრეცხდა. მარცვალმა გაზაფხულზედვე დაიწყო ძირს ცვივნა და მარიამობისთვეში ვაზს ხომ ფოთოლი სულ გასცვივდა. რაც ყურძენი შეჰრჩა ვაზს, ისიც აღარ დამწიფდა. ვენახები თითქმის ენკენისთვის გასვლამდის, შევინახეთ დასკრები, გვეგონა, ყურძენი დამწიფდებაო, მაგრამ ამაშიაც მოვტყუვდით, ყურძნს სიმწიფე არ შეეტყო. ბოლოს დავკრიბეთ ყურძენიც, დავაყენეთ ღვინოები, მაგრამ რისთვის! ფერად და გემოთი ბროწეულის წვენს არ ჩამოუვარდება. წინედ ივრის ვენახების ღვინო კარგი ღირსებისაც დგებოდა და კარგს ფასშიაც იყიდებოდა, ახლა არც ღვინო კარგა, არც ფასი აქვს. კვლავ ამ დროს ვერავის ნახავდით ფხიზელს, (თუმცა ეს სასურველი არ არის, მაგრამ, რას იზამთ, რომ ჩვენის მოსავლის ბარომეტრი ეს არის), გადვიოდნენ ერთი მარნიდგან მეორეში და ღვინის კარგს მოსავალს ერთმანეთს ულოცავდნენ და ქეიფობდნენ. ახლა-კი ერთს კაცს ვერა ჰნახავთ სოფელში ოდნავ შეზარხოშებულს. ეს სულ ღვინის უვარგისობის ბრალია. ამ მოუსავლიანმა და დაბალის ღირსების ღვინომ ისე გაუფუჭა გული ვენახის პატრონებს, რომ მომავლისათვის შემუშავებაზედ აღარც-კი ფიქრობენ.

ამ მოუსავლიანს წელიწადს, როგორც იქნება, ავიტანთ, მაგრამ მეზობელმა თათრებმა-კი ძალიან საქმე გაგვიჭირეს. დღე არ გავა, რომ ამბავი არ მოგვივიდეს—ამა და ამ სოფელში საქონელი დაიტაცეს, ამა და ამ სოფელში მწყემსი ან ყარაული დაჰჭრეს თათრებმაო. ჯერ ჩვენი სოფლელების საქონელი ორჯელ დაიტაცეს მინდვრიდგან. პირველად მარიამობის თვეში, როდესაც მეგუთნეს სადამოხანზედ საქონელი წყლიდგან ბინაზედ მიუდიოდა, გზაზედ ჩასაფრებოდნენ, ერთს თავში კეტი დაეკრა მეგუთნისათვის, იქვე წააქცივნა და ზედ დასდგომოდა, ხმა არ ამოიღოო, თორემ მოგკლავთ. დანარჩენებს ცხრა სული საქონელი წაესხათ. მართალია, მამასახლისს მიხეილ ოთარაშვილს გვიან შეატყობინეს და ბოქაულიც ამ დროს შინ არ იყო სამსახურისა გამო, მაგრამ მაინც გამოეკიდა თათრებს რამდენისამე კაცით და კვალიც მიიტანა ნაზარლოში. ის თათარი, რომელმაც მეგუთნეს კეტი დაჰკრა თავში, მამასახლისმა იცნო, ნაშნები თათრისა მეგუთნეს წინადვე ეთქვა. დაიჭირეს ეს თათარი, წარუდგინეს სართიჭალის ბოქაულსა და დღეს სამართალშია მიცემული. მეორედ ენკენისთვეში წაასხეს ხარები ისევ ჩვენი პატარძეულელებისა. ბ-ნმა ბოქაულმა ჩვენს მამასახლისს სამი ჩაფარი მისცა და ორი აზამბურელი მალაკანი, მამასახლისმა თავისს მხრივ ათიოდე სხვა კაცი წაიყვანა და წავიდნენ მეზობელ თათრების ბინების გასასინჯად. თათრებმა რომ დაინახეს, ბინების დასასინჯად მოდიანო, მაშინვე ხალხს ჩაუსაფრდნენ და ბერდანკის თოფებით სროლა დაუწყეს. ერთს ჩვენებურს ცხენიც დაუჭრეს. ჩვენი ხალხი უიარაღო იყო, ბინას ვერ მიუვიდნენ და ისევ უკანვე დაბრუნდნენ.

ამის შემდეგ პატარძეულის მამასახლისმა მიხა ოთარაშვილმა შეჰყარა ხალხი და გამოუცხადა: „ჩვენ თუ ყარაულები არ ვიყოლიეთ მინდორზედ საქონლისათვის, ეს თათრები ისე შემოგვეჩვივნენ, რომ ერთ სულსაც აღარ შეგვარჩენენო“. ამოვირჩიეთ ხუთი კარგად დახელოვნებული ყარაული, მაგრამ იარაღი-კი არ იყო, რომ მიგვეცა. ვსთხოვეთ ბ-ნს ბოქაულს, რომ დროებით ნება დაერთო ყარაულებისათვის ბერდანკის თოფები ეტარებინათ. ბოქაულმაც ნება მოგვცა. ვიშოვნეთ ორიოდე თოფი, მივეცით ყარაულებსა და თავ-თავისს ადგილას გავგზავნეთ. რაც ხანი ეს ყარაულები დავაყენეთ, საქონლის მოტაცებისა აღარა ისმის რა. ვნახოთ ბოლოს რა იქნება...

ი—ძე

## თეატრის მატიანე

„ორი ჯიბგირი“, თხზ. დე-კურსელისა, თარგმ. ვ. აბაშიძის მიერ.

ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, არტისტის ვ. აბაშიძის საბენეფისოდ გამართულ წარმოდგენას მეტად დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. თეატრი ისე იყო სავსე, რომ ერთი თავისუფალი ადგილი აღარსად მოიპოვებოდა. ბევრს უადგილობისა გამო ფეხზედაც-კი მოუხდა ყურება. მობენეფისეს საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება. სასიამოვნო და სასიხარულოა, როდესაც საზოგადოება არ ივიწყებს დამსახურებულ სცენის მოღვაწეს და სცდილობს წელიწადში ერთხელ მაინც პატივი სცეს, გაამხნევოს და გაახაროს ასეთი მოღვაწე. სასიამოვნოა ეს მით უმეტეს ჩვენში, სადაც საზოგადოება მაგრე რიგად არ ეტანება თეატრს და სადაც მსახიობი გათამამებული არ არის საზოგადოების გადაჭარბებულის ყურადღებით. მაგრამ მეორეს მხრივ სამწუხაროა, როდესაც ვ. აბაშიძისთანა გამოცდილი, დიდად ნიჭიერი და დახელოვნებული მსახიობი საბენეფისოდ ყოვლად უშინაარსო, ყოველსავე ლიტერატურულ ღირსებას მოკლებულ პიესას ირჩევს. სწორედ ასეთი პიესაა ხუთშაბათს წარმოდგენილი მობენეფისეს-მიერვე ნათარგმნი დე-კურსელის მელოდრამა „ორი ჯიბგირი“.

ბ-ნი აბაშიძე ოც წელიწადზედ მეტია ქართულ სცენას ემსახურება. ამ ხნის განმავლობაში მსახიობმა, ეჭვი არ არის, ბევრი უსიამოვნება გამოსცადა, ბევრი მწარე დღეები ჰნახა და თუ ითმინდა და ითმენდა ყველა ამას, უთუოდ იმიტომ, რომ თეატრი ხელოვნების ტაძრად მიაჩნდა, სწამდა რომ თეატრს დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან ხალხის განვითარების საქმეში. როგორც ასეთ კაცს, ბ-ნ აბაშიძეს არ ეპატიება თავისს ბენეფისში „ორი ჯიბგირისთანა“ პიესის წარმოდგენა.

ამ გვარ პიესებს არც ერთ სერიოზულ თეატრში არ ადგენენ. პარიჟსა და სხვა დიდ ქალაქებში არსებობს ეგრედ წოდებული „ბულვარის“ თეატრები. „ორი ჯიბგირი“ და სხვა ამისთანა პიესა ამ თეატრების რეპერტუარს შეადგენს. ასეთ თეატრებსა და ხელოვნების შორის ისევე არაფერია საერთო, როგორც „ორ ჯიბგირსა“ და ნამდვილ ცხოვრების შორის. გვ ტყვიან, საზოგადოებას ამ გვარი პიესები მოსწონსო, მაგრამ ეს კიდევ საკმაო საბუთი არ არის იმისათვის, რომ თეატრიდგან გავდევნოთ მაღალ იდეებით აღსავსე, ხელოვნებით შესანიშნავი ნაწარმოებნი შექსპირისა, შილლერისა, იბსენისა, ჰაუპტმანისა, ზუდერმანისა და იმათ ნაცვლად დე-კურსელისა და ამ გვარ ავტორების პიესები გავამეფოდ.

ხუთშაბათს წარმოდგენილ პიესის შინაარსს მკითხველებს არ გადავცემთ ჯერ ერთი იმიტომ, რომ არა ღირს, მეორე—არც მაგრე ადვილია ისეთის მოულოდნელის შემთხვევებითაა სავსე მთელი მელოდრამა. ვიტყვით მხოლოდ, რომ პიესის გმირებს ავტორის წყალობით ათასი უბედურება, ათასი განსაცდელი ატყდებათ თავს მხოლოდ იმიტომ რომ მაყურებელს გული აუტოკოს და ცრემლები გადმოადინოს. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ პიესა მეტად მოხერხებულადაა აკინძული.

რაც შეეხება წარმოდგენას, როგორც ეტყობა, არტისტები ძალიანა ცდილან ამ საღამოსათვის. კარგი იქმნება, ყოველთვის ასეთი მუყაითობა გამოიჩინონ ხოლმე. იშვიათად გვინახავს ჩვენს სცენაზედ ისე მწყობრად ჩაეტარებინოთ წარმოდგენა, როგორც ხუთშაბათ საღამოს ჩაატარეს. საუცხოვოდ წარმოადგინეს თავიანთი როლები ქ-ნთ ეფ. მესხიმ, ნ. გაბუნია ცაგარლისამ, ტასო აბაშიძემ და გარელმა. ეფ. მესხიმ სავსებით გადმოგვცა შვილის დაკარგვის გამო გამოწვეული დედის დარდი და მწუხარება, თუმცა სცენიდგან არც კვნესა გვესმოდა ამ მსახიობ ქალისა და არც უთავბოლოდ ხელების შლა და ტრიალი, როგორც ჩვეულებრივ ძლიერ დრამატიულ როლების წარმომდგენელთ სჩვევიათ. კარგად შეასრულეს როლები აგრეთვე თვით მობენეფისემ, ქ-ნმა ჩერქეზიშვილმა და სხვებმა, განსაკუთრებით ბ-ნმა სვიმონიძემ ყაჩაღ მიულოს როლი.

მობენეფისეს მრავალი საჩუქარი მიართვეს.

მოკეთე

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

როგორც გუშინაც გვქონდა მოხსენებული, ინგლისელები ძლიერ გაწიწმატებულები არიან იმის გამო, რომ ტრანსვაალის მხცოვანს პრეზიდენტს კრიუგერს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გმირულად თავგამოდებულს, საფრანგეთში დიდის თანაგრძნობით ეგებებიან. არა ნაკლებ აბრაზებს და აღელვებს ინგლისელებს ის გარემოება, რომ ფრანგთ ერთა ევროპის დანარჩენი ერნიც ყველანი ერთნაირად თანაუგრძნობენ, პატივით ეგებებიანს ინგლისელებს მოსვენებას არ აძლევს. ის გარემოება, რომ კრიუგერმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ლუბემ ერთმანერთი დეპეშებით მოიკითხეს; მაგრამ ყველაზედ მეტად ინგლისელებს გულს ისა სწყვეტს, რომ დედოფალმა ვილჰელმინამ კრიუგერს ისეთი გულითადი და თანაგრძნობით სავსე დეპეშა გაუგზავნა. არც ის ესიამოვნებათ ინგლისელებს, რასაკვირველია, რომ გერმანიის ჟურნალ-გაზეთებმა კილო წერისა გამოიცვალეს და არწმუნებენ კრიუგერს, რომ გერმანელებიც ისრევე გულითადად მიეგებებიან, როგორც ევროპის დანარჩენნი ერნი, მაგრამ ჯავრს გულში იკლავენ და ურცხვად აღიარებენ, რომ ტრანსვაალის დამოუკიდებლობას სამუდამოდ ბოლო მოღებული აქვსო.

მიუხედავად იმისა, რომ ბურებმა ამ ბოლოს დროს ინგლისელები დიდად შეაწუხეს და დააფიქრეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟამად ინგლისელები მხოლოდ ტრანსვაალის დიდს ქალაქებში არიან საკმაოდ გამაგრებულნი და დანარჩენნი ადგილები თითქმის ისევ ბურების ხელშია, ინგლისის მთავრობას მაინც გარდაუწყვეტია ლორდი რობერტსი მალე ინგლისში გაიწვიოს და მისს მოადგილედ ლორდი კიტჩენერი დანიშნოს. კიტჩენერმა სამხრეთ აფრიკაში ბრძოლისათვის გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი მიიღო და მალე სრულს გენერლობასაც მისცემენ, რომ უფროს გენერლებზედ ბრძანების უფლება ჰქონდესო, სწერენ უცხოეთის გაზეთები, მაგრამ ეს ბევრს დამსახურებულს ინგლისელს გენერალს არაფრად ეპიტნავება და ახლავე აპირებენ სამსახურს თავი დაანებონ, რადგანაც იციან ლორდი კიტჩენერი კარგს არას განიზრახავს და ისრევე მოექცევა ბურებს, როგორც სუდანში ბრძოლის

---

უმთავრესად იმით განსხვავდება ევროპიულ სკოლისაგან, რომ იქ ბავშვების ბუნება შებოჭილი და შებორკილი არ არის.

სისტემა სწავლებისა ევროპაში იმ ნაირია, რომ ბავშვს გონების მოძრაობის ნებას არ აძლევს, არ აძლევს ნებას თვით მოისაზროს, თვით მოიფიქროს და ამა თუ იმ დასკვნას დაადგეს. სცდილობენ, წინდაწინვე გამოუვსონ ბავშს თავი „კარგის“ აზრებით, წინდაწინვე დააყენონ „კარგს“ გზაზედ. ამიტომაა, რომ ასეთ სკოლაში იშვიათად გაიგონებთ ბავშვის საკუთარ აზრს, შეხედულებას. იგი ქვევრივით იმას ამოგძახებთ, რასაც ჩასძახებენ. ასეთ სკოლაში გაზრდილი კაცი მტკიცე რწმენასა და შეხედულებას იშვიათად შეიმუშავებს. სულ სხვასა ვხედავთ ამერიკულ სკოლაში. იქ ბავშვებს თუმცა ბევრ რასმეს ასწავლიან, ბევრს უამბობენ და აგებინებენ, მაგრამ ძალას-კი არ ატანენ, უეჭველად ამ აზრსა და ამ გზას დაადექიო: ბავშვი თვით უკვირდება ყველაფერს და თავისს საკუთარის გონებით არჩევს კარგს ცუდისაგან, სასარგებლოს საზარალოსაგან.

ვერავინ ვერ უსაყვედურებს ამერიკელებს სარწმუნოებრივ გრძნობის უქონლობას; პირიქით ამერიკელებისთანა მორწმუნე ხალხს სხვაგან ვერსად ვერ შეჰხვდებით.

ბავშვის გონების განვითარებას და საკუთარ აზრის შემუშავებას ხელს უწყობს აგრეთვე მოსწავლეთა მიტინგები, დ კრებები. ასეთი კრებები ყველა სკოლაში იმართება. ამისათვის სკოლებს განსაკუთრებული დარბაზები აქვთ. ბავშვები სიტყვებს ამბობენ, ერთმანეთს ეკამათებიან, კითხულობენ საკუთარ თხუზულებებს. არც ერთი მასწავლებელი, უფროსი და აღმზრდელი არ ჩაერევა ამ გვარ მიტინგებსა და კრებებში; ერთსა თხოულობენ მხოლოდ ბავშვებისაგან—წესისა და რიგის დაცვას.

თვეში ორჯელ სკოლაში განგებ აღვიძებენ ღამე ბავშვებს, განგაშს სცემენ, ვითომ ცეცხლი გაჩნდა, ან სხვა რამ უბედურება მოხდაო. რა წამსაც განგაშის ხმას გაიგონებენ, ბავშვები იმ წამსვე გარეთ გარბიან. ასე აჩვევენ ბავშვებს პატარაობითვე განსაცდელს და გამბედაობას უნერგავენ.

ი. ა—ძე

დროს მოიქცა. კიტჩენერი ახლაც უთუოდ ისრევე ეცდება ყველა სამხედრო კორესპოდენტები განდევნოს მხედრობიდგან, რომ მისს უმართებულ და საზიზღარს საქციელს ბრძოლის ველზედ პირნადვე არავინ აჰხადოს, არ გამოამჟღავნოს.

მხოლოდ დამარცხებით ცნობილი ინგლისელი გენერალი ბულლერი უკვე დაბრუნდა სამშობლოში; მაგრამ ინგლისელებმა ეშხი არ წაიხდინეს და ისრე მიეგებნენ, როგორც მძლეველს, გამარჯვებულს. ღვთის წინაშე, თითონ ბულლერიც-კი სახელს არ იტეხს და ყველა დამარცხებას, რომელიც კი მას სამხრეთ აფრიკაში გარდახდა, გამარჯვებადა სთვლის, — რა თვალთ-მაქცობით, ეს რასაკვირველია, — თვითონ უკეთ უნდა უწყოდეს. და განმარტავს კიდეც: „მართალია კოლენზოსთან ჩემმა ჯარმა, ცოტა არ იყოს, უკან დაიხია, იგივე ჩაიდინა სასწრაფოდ სპიონ-სკოპთან, მაგრამ სწორედ რომ ამან დასცა ბურებს თავზარიო“. გარდა ამისა, ბულლერი ერთს კიდევ სხვა კარგს ზღაპარს მოგვითხრობს. თუ ბულლერს დავუჯერებთ, იმის აზრით, ვინც-კი დღეს ბურების რაზმში იბრძვის, ყველა თურმე მამულისა და სამშობლოს მტერია; ვინც-კი ნამდვილი სამშობლოს მოყვარული იყო, ყველა დაგვმორჩილდაო... ვგონებ, სასაცილო იქმნებოდა ეს ამბავი, რომ მას ინგლისის დამარცხებული გენერალი არ ამბობდეს, არა?

**საფრანგეთი.** ადამიანთა და მოქალაქეთა უფლებების დამცველ საფრანგეთის მისსიის კომიტეტმა ტრანსვაალის პრეზიდენტს კრიუგერს შემდეგი ადრესი მიართვა:

„ჩვენ ყოველსავე ღონეს ვხმარობთო, — ნათქვამია ადრესში, — რომ თავი შევიმაგროთ და ინგლისის საწყენი არა ითქვას-რა, ინგლისისა, რომელიც ამ საზარელ ბრძოლისა გამო უიმისოდაც საკმაოდ იქმნა დასჯილიო. არ შეიძლება მთელს ინგლისს დავაკისროთ პასუხისმგებლობა იმპერიალიზმის იმ სისტემისა, რომელმაც სამხრეთ-აფრიკის ომი გამოიწვია. მაგრამ ამ ჟამად უკვე დადგა წამი ვამცნოთ ამ დიდს ქვეყანას ის ჭეშმარიტება, რომ მთავრობას ნება არ მისცეს და ბურების მხნე და გმირი პატარა ერი არ აღაგვევიხოს დედამიწის ზურგიდგან. ომმა იმ უკიდურესობამდე მიაღწია უკვე, როდესაც ადამიანისა და მოქალაქის ყოველივე უფლება შეგინებულია. ჩვენი მოვალეობაა ამ შეგინებულს უფლებას მფარველობა გავუწიოთ, ხმა აღვიმაღლოთ. არა გვსურს ინგლისელთა ეროვნულს პატიოსნებას შევეხოთ, გვსურს მხოლოდ ბურებს გავუწიოთ მფარველობა. ხალხსაც და ერსაც ისრევე აქვს უფლება არსებობისა, როგორც კერძო ინდივიდუმს, პირადობას. ბრიყვული ძალა, რომელიც ამ უფლებას უარ-ჰყოფს და ერს სიცოცხლეს ძალით უსპობს, ბარბაროსობას გვიბრუნებს უკან, განათლებისა და განვითარების მოძრაობას, წინსვლას აბრკოლებს, აფერხებსო“ და სხ.

**ჩინეთი.** როგორც რუსეთის „მთავრობის მოამბის“ მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდგანა სჩანს, დღემდის რუსეთს ჩინეთში სულ 3,900 ოფიცერი და 173,000 ჯარის-კაცი გაუგზავნია, ერთი სიტყვით, გაცილებით მეტი, ვიდრე ყველა სახელმწიფოებს ერთად.

## სასამართლოს მატიანე

ბოქ. არდიშვილის საქმე.

ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე შორაპნის მაზრის დაბა ჭიათურის სამადნო-სამრეწველო ბოქაულად ნამყოფის ნესტორ ნიკოლოზის ძის არდიშვილისა.

1895 წელს ჭიათურაში გაქურდეს ანტონ სანიკიძე, რომელსაც, სხვათა შორის, მოჰპარეს ხმალი, ხანჯალი, რევოლვერი. რადგანაც კარგა ხნის გამოძიების შემდეგ ქურდების კვალი ვერ გაიგეს, საქმე მოსასპობ დ წარადგინეს. რამდენიმე ხნის შემდეგ თვით სანიკიძეს უნახავს თავის ნივთები სად. ხაშურში ვიღაც მედუქნესთან, რომელსაც განუცხადებია, რომ ნივთები ცქიტიშვილისგან ვიყიდეო. ამ საქმის გამორკვევა არდიშვილისთვის მიუნდვიათ, რომელსაც ნივთები გამომძიებლისათვის გარდაუცია. ერთის წლის შემდეგ გამომძიებელს არდიშვილისათვის რევოლვერი მოუთხოვნია, რომელიც ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებში არ აღმოჩენილა. ნ. არდიშვილმა პალატაში საქმის გარჩევის დროს განაცხადა, რომ რევოლვერი დაკეტილ ყუთში მქონდა შენახული და გასადებს თან ვატარებდი, ამიტომაც ვერავინ მომპარავდაო. იმავე წელს წყალდიდობა იყო, მდინარე ყვირილა ისე მოდიოდა, რომ წყალი სახლში შემოვარდა. შემდეგ სკივრი დამტვრეული დამხვდა და შესაძლებელია რევოლვერიც მაშინ ამოვარდა და დაიკარგაო. რევოლვერის დაკარგვისათვის არდიშვილი სამართალში იქმნა მიცემული.

სამოსამართლო პალატამ, განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ნ. არდიშვილი, რომ იგი სამსახურის დროს დაუდევრად იქცეოდა და დაადგინა, სასტიკი საყვედური გამოეცხადოს.

—

ბოქ. ფიცხელაურის საქმე.

ამავე დღეს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე შორაპნის მაზრის დაბა საჩხერის ბოქაულად ნამყოფის გაბრიელ იოსების ძის ფიცხელაურისა, რომელსაც ორი დანაშაულის ჩადენა ჰბრალდებოდა. პირველი საქმის გარემოება შემდეგია: 1896 წელს ზაფხულში ფიცხელაურს, როდესაც იმასთან ხარკის აკრეფი მისულან, ერთისათვის, სახელდობრ დათია ასანიძისათვის (აწ უკვე გარდაცვლილია) სილა შემოუკრავს. საქმის გამოძიების დროს პავლეა ჭიღლაძეს უჩვენებია, რომ, როდესაც მე, ასანიძე და დიმიტრი ჭიღლაძე ფიცხელაურთან მივედით, ბოქაულმა სიტყვაც არ გვათქმევინა, ჯერ მე შტაცა ხელი წვერებში და მერე დათია ასანიძეს ეცა და სილა გაარტყაო. ბოქაულის გაჯავრების მიზეზი, როგორც შემდეგ გავიგეთ, ის იყო, რომ მღვდლის ფუდი სამი მახეთი დაგვრჩა შოსაკრებიო. თითქმის ესევე განუცხადებია დიმიტრი ჭიღლაძესაც.

მეორე საქმის გარემოება შემდეგია. 1898 წლის 24 მარტს დაბა საჩხერის მცხოვრებს მალაქია კაპანაძეს საჩივარი შეუტანია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან, რომ 1898 წლის 28 თებერვალს საჩხერის ბოქაულმა გაბრიელ ფიცხელაურმა ენუქა ხოჯაშვილის დუქნის წინ მთვრალმა მცემა იმისთვის, რომ მე ფული არ მივეცი მიხეილ იაკობაშვილს, რომელმაც ჩემგან ცხენი იყიდა, შემდეგ უკანვე დამიბრუნა და ფული მთხოვაო. ამ საქმის გამოძიების დროს მოწმეს სანდრო ჩარკვიანს უთქვამს, რომ ბოქაულმა ფიცხელაურმა ერთხელ დაარტყა კაპანაძეს ჯოხი ზურგში და როდესაც მეორედ დააპირა დარტყმა, მამასახლისის თანაშემწემ განზედ გაიყვანაო. იოსებ და ზურაბა პაპიაშვილებს განუცხადებიათ, რომ ჯოხი კი არა, ბოქაულმა ხელი წაჰკრა კაპანაძეს კისერშიო.

სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო ფიცხელაური მხოლოდ მეორე საქმეში და გარდაუწყვიტა 7 დღით დაპატიმრება და ორივე საქმის საწარმოებელ ხარჯის გარდახდა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ტფილისიდგან, კაშინიდგან, ბობრუისკადგანა და სუხუმიდგან დეპეშები მოვიდა, რომ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ პარაკლისები გარდაუხდიათ.

**პეკინი.** ელჩებმა განაცხადეს, რომ იგინი იმპერატორის კუან-სუს უკანასკნელ ბრძანებით დამნაშავე მოხელეთა სასჯელის შესახებ კმაყოფილნი არ არიან. ლიხუნჩანგმა და ცინმა ამის შემდეგ იმპერატორს დეპეშა გაუგზავნეს, რომლითაც აცნობეს, რომ ელჩები უფრო მეტს სასჯელს თხოულობენ, ვიდრე ბრძანებაშია მოხსენებული. გარდა ამისა, აცნობეს იმპერატორს, რომ ან თითონ დაბრუნდეს პეკინში, ან-და რწმუნებულად დანიშნოს ვინმე, რომ მისის სახელით ჰმოქმედებდეს პეკინში. დასასრულ, დეპეშაში მოხსენებულია, რომ ადმირალებს განზრახვა აქვთ სასახლისათვის სინანფუში სურსათის გზავნას ეწინააღმდეგნენ. მეფის მოადგილე ლიკუნიმც ასეთისავე სამახსოვრო წერილით მიჰმართა სასახლეს ადმირალების მოქმედების შესახებ.

**პარიჟი.** კრიუგერი პარიჟიდგან შაბათს წავა. პარიჟიდგან იგი კელნში მივა, აქ დარჩება კვირას და ორშაბათს და შემდეგ მაგდებურგსა და ბერლინში წავა, სადაც სამშაბათს მივა.

**პეკინი.** პაოტინფუდგან იუწყებიან, რომ 3,000 გერმანელი ჯარის-კაცი გენერალ-მაიორის კეტტელერის უფროსობითა და 2,000 საფრანგეთის ჯარის-კაცნი გენერალის ბალიუს უფროსობით პაოტინფუში მივიდნენ, რომ ზამთარი აქ გაატარონო.

**კაპშტადტი.** გენერალმა ნოქსმა ხერხიანად მოუარა ჯარით და დევეტს მდინარე ორანჟეს გზა შეუკრა უკანიდგანაო.

**პარიჟი.** პალატა. დენის განზრახვა აქვს პალატაში კითხვა შეიტანოს რა განზრახვა აქვს მთავრობას ბურების სასარგებლოდ მედიატორეთა სამართლის შესახებ. დელკასსე უპასუხებს, რომ უსარგებლო იქნება ლაპარაკი აღვძრათ ამ საგნის შესახებ, რადგანაც იგი გარეშე პოლიტიკას შეეხებაო. „განსაკუთრებითკი ის არ უნდა დავივიწყოთო, — სთქვა დელკასსემ, — რომ, რაც უსარგებლოა, იგი ხშირად საშიშიც არისო“. დენი მაინც თავისს წინადადების გაყვანასა სცდილობს, მაგრამ პრეზიდენტის შენიშვნის შემდეგ თავისს კითხვას უკან იბრუნებს და ურჩევს კრიუგერს თანაგრძნობა გამოუცხადონ. დენის წინადადება ერთხმად მიღებულ იქმნა.

17 ნოემბერი

**ლივადია.** 17 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე და წარსული ღამე კარგად გაატარა. თვითგრძნობა საკმაოდ კარგი აქვს. საღამოს 9 საათზედ 36,4° სიცხე ჰქონდა, მაჯა 60 უცემდა; დღეს დილით 35,8° სიცხე აქვს, მაჯა 62 უცემს. ლეიბ-ხირურგი გირში; საპატიო ლეიბ მედიკი პოპოვი; მკურნალი ტიხონოვი.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება, რომ პოლკოვნიკმა ბარკერმა დევეტსდორპზედ გალაშქრების დროს ბურები ნახა გამაგრებულნი და იერიში მიიტანაო, რომლის დროსაც სამი კაცი დაკარგაო; პოლკოვნიკმა პლუმერმა დევაგენდრიფტიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთით 500 ბურზედ იერიში მიიტანა და მარჯვენა მხრივ მოუარაო; ბურებმა უკან დაიხიეს და 3 კაცი დასტოვეს მკვდარიო. ინგლისის მეორე რაზმი 10 ნოემბერს ბეთლემისაკენ წავიდა და ტიგერკლოფში ძლიერად გამაგრებული ბურები ნახაო. ცხარე ბრძოლის შემდეგ მტრის უმთავრესი სიმაგრე აღებულ იქმნა. ინგლისელებს ორი კაცი მოუკლეს რომელთაგან ერთი პორუჩიკია; სამი დაჰრილია; ამათში ერთი მაიორიაო.

**იოჰანესბურგი.** დევეტსდორპზედ 8 ნოემბერს ბურებმა იერიში მიიტანეს და 11-ში დაიჭირეს, მაგრამ გენერალმა ნოქსმა 13 ნოემბერს ასევ უკან დაიბრუნა და ბურებს სდევნის ამ ჟამად დაწვრილებითი ცნობები ჯერ მიღებული არ არის.

**პეკინი.** გუშინ გრაფის იორკის შიკრიკი მოვიდა საჩქაროდ, რომ მკურნალი წაეყვანა პოლკოვნიკ იორკთან. შიკრიკმა ამბავი მოიტანა რომ იმ დროს, როცა მისი ჯარი ქალაქში იყო, იორკს ჩინურად გახურებულს უმილო ღუმლიანს ოთახში ეძინა და დაიბნიდაო; დილით იგი უგრძნობლად იპოვნეს: ადიუტანტი ტყულად სცდილობდა მთელის ორის საათის განმავლობაში, რომ გონზედ როგორმე მოეყვანათ. მკურნალი დაუყოვნებლივ იორკთან წავიდა პეკინიდგან. ვალდერზეე იორკის ჯარს პეკინში თითონ მოიყვანს.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგ“. იუწყება გელვეციაფერმიდგან 14 ნოემბერს: პოლკოვნიკის პილჩერის ჯარს, რომელიც პოლკოვნიკს ბარკერის რაზმთან ერთად ჰმოქმედებდა გენერლის ნოქსის უფროსობით, დევეტსდორპიდგან დევეტის დევნის დროს დღეს ბურებთან პატარა ბრძოლა მოუხდა. მტერი ბრიტანიის ბატარეიას იმ ზარბაზნიდგან ესროდა, რომელიც დევეტსდორპში წაართვეს ბურებმა ინგლისელებს. როგორცა სჩანდა, ბურებს მოულოდნელად დასხმოდნენ თავსა. შტეინი და დევეტი საჩქაროდ დასავლეთისაკენ წავიდნენ. ინგლისელებმა ორი ფურგუნი სურსათი და ტანისამოსი წაართვეს, რომელიც ეჰვი არ არის ბურების მიერ დევეტსდორპიდგან იყო წამოღებული; წაართვეს ამასთანავე 300-მდე ცხენი. ინგლისელებს ერთი მოუკლეს და 6 დაუჭრეს რამდენიმე დაჭრილი ბური იპოვნეს როგორც იუწყებიან, დევეტისა და შტეინის ბანაკი ამ ჟამად ინგლისელების სიმაგრესა და რკინის გზის ლიანდაგს შუა თურმე. ინგლისის ბანაკი სმიტსფილდიდგან 24 მილის მანძილზეა ჩრდილოეთით; აქ აპირებდნენ ბურები მისვლას, მაგრამ დღევანდელმა ბრძოლამ დევეტის რაზმი სამ ნაწილად გაჰყო. სმიტფილდის ჯარს მშვენიერი სიმაგრე უჭირავს; მახლობელ ფერმებიდგან დევეტის რაზმს მრავალი ბური უერთდებაო.“

**ბუხარესტი.** პალატის პრეზიდენტად გიორგი კანტკუზენი იქმნა არჩეული; ვიცე-პრეზიდენტებად არჩეულ იქმნენ: იკონომ დერავრანცევი კამარგესკა და განო. სენატმა პრეზიდენტად ბოერესკი ამოირჩია; კოგოლნიჩანო, დანოვი, თედორე, ვაკარესკი და გრიგორ ოლანესკი ვიცე-პრეზიდენტებად იქმნენ არჩეულნი.



## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |
| ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა | „ | 5 |
| Заслуги грузинскаго монашества Е. К. | „ | 30 |
| Двѣнадцативѣковая борьба | „ | 50 |
| Грузинскіе поэты, Тхоржевскаго | „ | 30 |
| Царица Тамара, М. Джанашвили | „ | 50 |
| Исторія грузинск. церкви, его же | „ | 40 |
| Грузинскія обители внѣ грузіи, его-же | „ | 25 |
| Письма о грузіи, Исарлова | „ | 80 |
| შოთა რუსთაველი და მისი ცოლი, ან. ფურცელაძისა | „ | 10 |



Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Ноября 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე